# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 28 ოქტომბერი 2005 №248 (2571) ფასი 50 თეთრი




**ციც!**
ახალკაცმა პრესას თითი დაუქნია

2

# თათრებს ქართული მადა ჰქონიათ

## ყაზანის რუბინის სამი-ზნე: კობიაშვილი, გახოკიძე, არველაძე











**ჯორჯ ბესტი უკანასკნელ დღეშია**

8



**ეჰ, დაბეჩავდა კაცი**
მუჰამედ ალი მაინც არ ტყდება

15

# კალათბურთის არჩევნები მიადგა



მეოთხე წელია, ქართული კალათბურთის საქმეებს ბესიკ ლიპარტელიანის გუნდი განაგებს. კალათბურთის ფედერაციის ამჟამინდელი პრეზიდენტი 2001 წლის ნოემბერში აირჩიეს და, დებულების თანახმად, ახალი არჩევნები კარზეა მომდგარი.

26 ოქტომბერს კალათბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბა და საარჩევნო თარიღიც დაადგინა. მაშ, ასე, 2005 წლის 16 ნოემბერს სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში კალათბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება, რის შემდეგაც შევიტყობთ, ქართულ კალათბურთს ისევ ბესიკ ლიპარტელიანი უთავკაცებს თუ მას ახალი წინამძღოლი გამოუჩნდება.

ალმასკომისვე გადაწყვეტილებით, პრეზიდენტობის მსურველთა რეგისტრაცია დღეიდან დაიწყება და 7 ნოემბრის საღამოს 6 საათამდე გაგრძელდება.



# ცის! ახალკაცმა პრესას თითი დაუქნია

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი 12 ოქტომბრის საბერძნეთთან მატჩის შემდეგ გაიოზ დარსაძესთან ერთად ბელგიაში გაემგზავრა, სადაც 17-წლამდელთა ნაკრების ევროშესარჩევი ციკლის საპრველეტაპო მატჩებს დაესწრო. ახალკაცი გერმანიაშიც იყო ვიზიტით და კარგი საქმეც გაარხა — ეროვნულ ნაკრებს 12 ნოემბრისთვის სპარინგ-მეტოქე მოუძია ბულგარეთის სახით. შეხსენება არ გინდათ, რომ 16 ნოემბერს საქართველოს ნაკრები უკვე იორდანიას შინ დაუხვდება.*

*ამ ყველაფერზე ახალკაცმა, ჩვეულებისამებრ, ჯერკლად ისაუბრა და ისე გამოვიდა, რომ დღეს პრეზიდენტი გაიოზ დარსაძესთან ერთად გვიწვევს პრესკონფერენციაზე. სადაც ეროვნული ნაკრების სამეულ საარტიული შემადგენლობას გავეცნობით და სამწვრთნო შტაბელებზეც გავიგებთ.*

*...მაგრამ ჯერ გუშინდელი: ნოდარ ახალკაცთან ერთად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში 17-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან მელიქაძე იყო და ბელგიური შთაბეჭდილებები მან გაგვიზიარა. შეგახსენებთ, ქართველმა ჭაბუკებმა ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავეს...*

***ლევან მელიქაძე:*** წაგება წაგებაა და ამას დადებითად ვერ შევაფასებ, მაგრამ თამაშებმა დაგვანახა, რომ მეტოქეებს ბევრად არ ჩამოვუვარდებოდით. კარგად მოვემზადეთ — 7 ოქტომბერს შევიკრიბეთ, 9-ში ნაკრების ბაზაზე დავბინავდით, 14-ში კი ბელგიაში გავემგზავრეთ — ხუთი დღით ადრე ჩავედით იქ, რითაც ბელგიელები გაკვირვებულნი დარჩნენ.

...პირველ თამაშში ბელგიასთან 60 წუთი უპირატესობაც კი გვქონდა, მაგრამ ბოლო წუთებში ფიზიკურმა კონდიციებმა ითამაშა თავისი როლი. მასპინძლებთან ფრე კარგი შედეგია, მაგრამ მეორე თამაშში ავსტრიასთან, ეტყობა, ძალების აღდგენა ვერ მოვახერხეთ. აი, ბოლო ტურში კი ბულგარეთთან სხვა თამაში იყო. ჩვენ მოგების შემთხვევაში გასვლის კარგი შანსი გვქონდა, ამიტომაც შემტევი სტილით ვითამაშეთ. უნდა მოგვეგო კიდეც — ბიჭებმა ყველა დავალება კარგად შეასრულეს, მაგრამ მე-20 წუთზე თამაშგარედან გაგვიტანეს გოლი. ბოლოს პენალტით კი გავათანაბრეთ, მაგრამ გამარჯვების გოლის შეგდება ვეღარ მოვასწარით.

— ბელგიასთან და ავსტრიასთან ნორმალური მსაჯობა იყო?

— კი, აქ საპრეტენზიო არაფერი მაქვს, მაგრამ ბულგარეთთან მსაჯებმა ისეთი შეცდომა დაუშვეს, თვალის დახუჭვა არ გამოვა.

— ავსტრიასთან რატომ ვერ მოასწარით ძალების აღდგენა?

— ჩვენ ორი დღის წინ ბელგიასთან თამაშში მთელი ძალები ჩავაქსოვეთ, ავსტრიელებმა კი ჩვენამდე სამი საათით ადრე ითამაშეს, თანაც 0:4 წააგეს ბულგარეთთან და დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. ისე, ფიზიკურად მართლაც ჩამოვრჩებოდით მეტოქეებს.

— რჩებით 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცად?

— 2006 წლის ნოემბრამდე მაქვს კონტრაქტი, ისე კი, ფედერაცია, კერძოდ, აღმასკომი გადაწყვეტს ჩემ საკითხს.

— 17-წლამდელებთან ერთად იყო გაიოზ დარსაძეც. ამან გუნდზე რამდენად იმოქმედა?

— დარსაძის ჩვენთან ყოფნა ფსიქოლოგიურად დადებითი მომენტი გახლდათ. ეს ბიჭებმაც აღიარეს.

— ვინმეს გამოარჩევდით ნაკრებიდან?

— 1990 წელს დაბადებული ორი ფეხბურთელი გვყავდა — თარხნიშვილი და მჭედლიძე. ორივემ ითამაშა ბელგიასთან და კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

— ბელგიაში რა გამოხმაურება ჰქონდა ნაკრების თამაშს?

— იქაურები ამბობდნენ, ქართველებს სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლიათო. თავად უეფას წარმომადგენლებმაც გვითხრეს, კარგი გუნდი გყავთო. ისევ და ისევ ნოდარ ახალკაცს ვუხდი მადლობას, რომ ჯგუფური მატჩების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე გაგვამგზავრა ბელგიაში. ეს რომ არა, უფრო ცუდი შედეგი გვექნებოდა...

*ლევან მელიქას შემდეგ* ***ნოდარ ახალკაცი*** *გვესაუბრა და კვლავ გაამახვილა ყურადღება პრესასთან ურთიერთობაზე: „სამწუხაროდ, არასწორ ინფორმაციებს ვაწყდები გაზეთებში. საქართველო ჯერ სრულად არაა გამოსული კომუნისტური წყობიდან, თორემ ცრუ ინფორმაციების გავრცელებისთვის უპრიანი ქმედება სასამართლოში ჩივილი იქნებოდა. ცხადია, ასეთ ფორმას არ მივმართავ, მაგრამ ასე გაგრძელებაც არ შეიძლება“ — თქვა სფფ-ის პირველკაცმა. კერძოდ კი...*

— უეფას შტაბბინაში ევროპის ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციების ხელმძღვანელების შეხვედრაზე გრიგოლ ცაავა აპირებდა წასვლას, მაგრამ მან მოულოდნელად ფეხის მძიმე ტრავმა მიიღო. ჩვენ რომ ევროკავშირის წევრი ვიყოთ, მეორე დღესვე მივავლენდით ვინმეს შვეიცარიაში, მაგრამ, მოგეხსენებათ, ვიზებს დრო სჭირდება. სულ ეს იყო ცაავას შვეიცარიაში არყოფნის მიზეზი და მეტი არაფერი.

...იმასაც ვიტყვი, რომ უეფას გენმდივან ლარს-კრისტერ ოლსონის საქართველოში ვიზიტს გაცნობითი ხასიათი აქვს. ოლსონმა არცთუ დიდი ხნის წინათ შეცვალა ამ პოსტზე გერჰარდ აიგნერი და მას უეფას წევრი ქვეყნების ფედერაციების გაცნობა სურს. ოლსონი პროგრამა „ჰეთ თრიქის“ მენეჯერ ბრუნო ვოლფსბერგთან ერთად ჩამოვა 31 ოქტომბერს — მათ ერთი დღით სურდათ ჩამოსვლა, მაგრამ ვთხოვეთ და ორ დღეს დარჩებიან. „ჰეთ თრიქში“ კი იგულისხმება მინი-მოედნების მოწყობა, მსაჯებისა და მწვრთნელების მომზადება. იანვრიდან A ლიცენზიისთვის საჭირო სამწვრთნელო კურსების დაწყებაც გვინდა და ალბათ ასეც მოხდება.

...და კიდევ, ფედერაციის „ბნელ წერტილზე“ — ვებ-გვერდზე: დღეიდან ფედერაციის საიტის რეკონსტრუქცია დაიწყება. იმედი მაქვს, საიტი ახალ წლამდე მზად იქნება.

— გერმანიაში თქვენს ვიზიტზე რას გვეტყვით?

— გერმანიის საფეხბურთო კავშირის წევრებთან როგორც სანაკრებო, ისე ტექნიკურ საკითხებზე ვისაუბრე. შევხვდი ჰერბერტ ცანკერს, რომელიც აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის ტალანტების აღმოჩენაში და ასევე აქტიურად იმუშავებს 17-წლამდელთა ნაკრებში. მინდა ვთქვა, რომ 17-წლამდელებში გამოჩნდნენ საინტერესო ფეხბურთელები. მათზე გაიოზ დარსაძემაც გაამახვილა ყურადღება.

*შემდეგ ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, აბსურდია, თითქოს დარსაძე უხეშად ერევა 17-წლამდელთა ნაკრების საქმიანობაში და შემადგენლობას თვითონ აყენებსო. ახალკაცმა მრავალჯერ ხაზგასმით განაცხადა, ყველა ასაკობრივი ნაკრები ეროვნული ნაკრების სათამაშო სტილსა და სისტემას უნდა ეხადაგებოდეს, ეს სტილი კი შემტევი უნდა იყოსო.*

— საბერძნეთში მეორე ტაიმში გამოვიდა 17 წლის რატი წინამძღვრიშვილი და იმიტომაც გაუადვილდა თამაში, რომ 19-წლამდელთა ნაკრებში ათვისებული ჰქონდა ის ელემენტები, რაც ეროვნულში დახვდა. იგივეს ვიტყვი ბექა გოცირიძეზე და გიორგი განუგრავაზე. პრესინგი მაქსიმალურად უნდა დავხვეწოთ. ბელგიაში ჩვენს 17-წლამდელებს პრესინგი გამოსდიოდათ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა ის, რაც გვინდა. გაისად 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებს შემოდგომაზე კვლავ ელით შესარჩევი ციკლი, ამისთვის მზადება კი დეკემბერში უნდა დაიწყონ და არა წლევანდელივით მაისში, მატჩებამდე სულ რაღაც ოთხი-ხუთი თვით ადრე.

— ბულგარეთის ნაკრების სახით სპარინგ-მეტოქე მოძებნეთ. უკეთეს ნაკრებთან მოლაპარაკება არ გიცდიათ? ვთქვათ, გერმანიასთან...

— ჩემი უმთავრესი მისია ამ ეტაპზე სწორედ სპარინგ-პარტნიორის გამოძებნა იყო. ჩემი აზრით, ბულგარეთი ძლიერი მეტოქეა, მათ სხვა შეთავაზებებიც ჰქონდათ, მაგრამ საქართველო არჩიეს. გრანდების დაყოლიება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ჯერ საკადრისად უნდა მოვძლიერდეთ. გერმანიის ნაკრები კი ორი წლით ადრე არჩევს მეტოქეებს.

...სხვათა შორის, გამიკვირდა კიდეც, ევროპელებს საკმაო ინფორმაცია ჰქონიათ ქართულ ფეხბურთზე. შემთხვევითი არ [illegible] საბერძნეთი — საქართველოს „ევროსპორტმა“ რომ აჩვენა [illegible].

— იორდანიის ნაკრებთან ზესტაფონში მასპინძლობაზე რას იტყვით?

— ზესტაფონში მინდორი იდეალურია, მაგრამ საორგანიზაციო პრობლემები გვაქვს — სასტუმრო არ არის ნორმალური. თანაც ზესტაფონში სტადიონი ალბათ გაივსება და უსაფრთხოების საკითხიც გასათვალისწინებელია. ისე, ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმაც გამოთქვეს ზესტაფონში თამაშის სურვილი. ენახოთ, გამორიცხული არაფერია. და კიდევ: იორდანიასთან და ბულგარეთთან სათამაშოდ 22 ფეხბურთელს გამოვიძახებთ, გვინდა, მეტოქეებთან მივაღწიოთ შეთანხმებას, რათა შეცვლები შეუზღუდავი იყოს.

— ალექსანდრე იაშვილს ესაუბრეთ გერმანიაში და ჩამოვა იგი ნაკრებში სათამაშოდ?

— იაშვილთან მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, მაგრამ საქმე საქმეა. იაშვილს ვუთხარი, რომ იორდანიასთან და ბულგარეთთან გვაქვს მატჩები. იმედია, ჩამოვა.

— შოთა არველაძე რას აპირებს?

— ამაზე ხვალ ვილაპარაკოთ.

*დასასრულ, ნოდარ ახალკაცმა ეროვნული ნაკრების გაახალგაზრდავებაზეც ისაუბრა — ეს ოოლი გზა არაა, მაგრამ ახალგაზრდების ინტეგრაცია ნაკრებში შემდეგ ჩავარდნებს აგვაცილებს, ძლიერ ევროპულ ნაკრებებშიც ხშირია ეს პროცესიო...*

— ბელგიელი 17 წლის ვენსან კომპანი უკვე ეროვნული ნაკრების ძირითად მოთამაშედ ითვლება. გერმანიაში „კიკერში“ წავიკითხე, თუ როგორ აქებენ დორტმუნდის „ბორუსიას“ 16 წლის თურქ ნური საჰინს, მას სისტემატურად აძლევენ თამაშის საშუალებას. რაღაზეა ლაპარაკი, როცა გერმანიის ნაკრებშიც დაიწყო ახალგაზრდების დაწინაურება. რა თქმა უნდა, გერმანელები 2006 წლის მუნდიალზე ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ, მაგრამ მომავალზე ზრუნვაც არ ავიწყდებათ — ბოლო ამხანაგურ მატჩში იურგენ კლინსმანმა, თუ არ ვცდები, 7 ფეხბურთელი ათამაშა 21-წლამდელთა ნაკრებიდან.

*რა დავამატოთ: კარგია, როდესაც გვირაბის ბოლოს შუქს ხედავ. ასეა ნოდარ ახალკაციც და მან, ალბათ, ისიც კარგად იცის, რომ თუ ეს გზა დაუბნელდა, გამოსავალი აღარ იქნება — საქართველოს ნაკრების დახლოებით ათწლიანი მომავალიც გვირაბში გაიჭედება...*

**ილია ნანობაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

***რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი იქნება. კითხვები 8 ნოემბრამდე მოგვაწოდეთ და პრეზიდენტთან თქვენს ინტერვიუს არაუგვიანეს 11 ნოემბრამდე გამოვაქვეყნებთ. ერთი სიტყვით, იაქტიურეთ.***



მოგვმართეთ ტელეფონი: 38 11 14; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

# ფრთხილად, ბავშვებია!



**ბელგიიდან** მობრუნებულმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრმა დავით ჯანელიძემ თბილისის აეროპორტში ტელეჟურნალისტს უთხრა...

თუმცა, სანამ ფეხბურთელის ნათქვამს მოგახსენებთ, ერთი ამბავი მინდა გავიხსენო: ამ თვენახევრის წინ ეგვიპტეში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატიდან დაბრუნებული ქართველი ძიუდოისტები აეროპორტიდან ცხვირპირმომტირალნი გამოვიდნენ. სპორტში ჩაუხედავი კაცი მათი შემხედვარე იფიქრებდა, რაღაც უბედურება შემთხვევიათო. ზურაბ ზვიადაურმა და კომპანიამ დამხვდურები ნირწამხდრებმა მოიკითხეს, მანქანებში ჩასხდნენ და წავიდნენ.

იმ სპორტში ჩაუხედავი კაცისგან განსხვავებით, ჩვენ ხომ ვიცით, რაც იყო ამის მიზეზი: ქართველი ძიუდოისტები მსოფლიოს ჩემპიონატიდან ოდენ ლაშა გუჯეჯიანის ბრინჯაოთი დაბრუნდნენ.

ახლა კი იმას მივუბრუნდეთ, რითაც დავიწყეთ. დავით ჯანელიძემ აეროპორტში ჟურნალისტს უთხრა, რომ ნაკრებმა ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულ გუნდებთან ფრე გაახერხა, ცოტა იღბალმაც უგანა და საერთოდ, ურიგო შედეგი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებს არ უჩვენებია.

ის, სპორტში ჩაუხედავი კაცი ამაზე იტყოდა, ჯიგრები ყოფილან, ფავორიტებს არ დაეჩაგვრინენ და ეგეც საქმეაო.

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით: საქართველოს ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის შესარჩევ ეტაპში, ანუ უმდაბლეს დონეზე და ოთხგუნდა ჯგუფში ბოლო, მეოთხე ადგილზე გავიდა.

აქ ერთ განმარტებას დავურთავთ: ლაპარაკი არ გვაქვს იმაზე, რატომ ვერ გავიდნენ ჩვენი ჭაბუკები ჯგუფიდან. უბრალოდ, საქმისადმი დამოკიდებულებაზე მოგახსენებთ. ნახსენები კომენტარის მერე, მომკალით და არ მჯერა, რომ ჩვენი ჭაბუკი ფეხბურთელები ბელგიაში დაშვებულ შეცდომებს გააანალიზებენ და გამოტანილ დასკვნებს სამომავლოდ გამოიყენებენ. ასე არ არის?! როცა ფეხბურთელი შესარჩევის შესარჩევ ეტაპზე ბოლო ადგილზე გადის და უკმაყოფილება არ ეტყობა, ბუნებრივია, ვერც საკუთარ შეცდომებს დაინახავს.

და კიდევ: ეს წერილი მხოლოდ დავით ჯანელიძის გასაგონად არ იწერება. შეიძლება ითქვას, ყველაზე ნაკლებად დავით ჯანელიძისთვის იწერება. ვფიქრობ, მისი ნებისმიერი თანაგუნდელი იმავეს იტყოდა, უბრალოდ, ჟურნალისტს ჯანელიძე „შეეფეთა". იმასაც ვფიქრობ, დავით ჯანელიძემ უბრალოდ გაიმეორა ის, რაც ჯგუფში ბოლო ადგილზე გასვლის მერე მწვრთნელებისგან მოისმინა. რატომ მგონია ასე? არ მჯერა, რომ მწვრთნელებმა მას უთხრეს, ბოლო ადგილზე გასვლა ძალიან ცუდიაო, ფეხბურთელი კი გაჯიუტდა და ჟურნალისტს საპირისპირო რამ უთხრა. ლოგიკურ ჯაჭვს თუ მივყვებით, ჯანელიძის ნათქვამი სინამდვილეში მწვრთნელების ნათქვამია. და თუ 16-17 წლის ბიჭებს მწვრთნელები ამას ასწავლიან, რაღა გვიკვირს და რაღაზე ვითხოვთ შედეგს? უფრო სწორად, ვისგან ვითხოვთ შედეგს?

**ძოტე ძეძელია**



ლევან კობიაშვილი, შოთა არველაძე, გოგა გახოკიძე... რა ახალია — ერთი „შალკეში" თამაშობს, მეორე „ალკმაარში", მესამე „ტვენტეში", არადა, შესაძლოა, სამივე ერთ გუნდში, ნუ გაიკვირვებთ და, ყაზანის „რუბინში" ვიხილოთ.

ასეთი საინტერესო ამბავი გავიგეთ სათათრეთიდან. ყაზანის „რუბინი", რომელიც რუსულ პრემიერლიგაში სადღეისოდ მეხუთეა და მეოთხეობისთვის იბრძვის, ამ სამი ქართველი ფეხბურთელის გადაბირებას ფიქრობს. ეს ქართულ-თათრული ტრანსფერები კი „რუბინის" წლევანდელ შედეგზეა დამოკიდებული, კერძოდ: თუ „რუბინმა" უეფას თასის საგზური მოიპოვა, ანუ ჩემპიონატში მეოთხე იქნა, ძალიან დიდი შანსია, კობიაშვილი, არველაძე და გახოკიძე მომავალი სეზონიდან ყაზანში ამოჩნდნენ. „რუბინის" მესვეურთა ჩანაფიქრის შესახებ ჩვენ კულუარული ინფორმაცია გვქონდა, მერე კი...

# რუბინის ზენიტი ზენიტის მერე

## თათრებს კარგი ქართული მადა ჰქონიათ

— დიახ, ვადასტურებ, რომ ყაზანის „რუბინს" აქვს სურვილი, გუნდში იხილოს ლევან კობიაშვილი, შოთა არველაძე და გოგა გახოკიძე — გვითხრა „რუბინის" ქართველმა ვიცე-პრეზიდენტმა *ირაკლი გეგეჭკორმა* — ამ ფეხბურთელებთან და მათ აგენტებთან გადამწყვეტი მოლაპარაკების დაწყებას მალე ვაპირებთ, თუმც ამ ტრანსფერების საკითხი „ზენიტთან" შაბათის მატჩის შედეგზეც იქნება დამოკიდებული — თუ სანკტ-პეტერბურგში მოვიგეთ, ჩემპიონატში მეოთხე ადგილს ვერავინ შეგვეცილება და უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ.

**— გადამწყვეტი მოლაპარაკებაო, თქვით, ანუ წინასწარი მოლაპარაკება ამ ფეხბურთელთა „რუბინში" გადასვლის თაობაზე უკვე გქონდათ?**

— ჩვენ ვფიქრობთ და ვაპირებთ ამ ქართველი ფეხბურთელების დამატებას. მოლაპარაკების დასრულებამდე კი სხვას ვერაფერს გეტყვით.

**— კი მაგრამ, რუსეთის ერთ-ერთი რეგიონის გუნდს შეუძლია „შალკეს", „ალკმაარისა" და „ტვენტეს" ფეხბურთელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება?**

— „ზენიტთან" მატჩი ჩვენთვის მხოლოდ წმინდა სპორტული თვალსაზრისით არ არის მნიშვნელოვანი. უეფას თასის საგზური თუ მოვიპოვეთ, რისი დიდი იმედიც გვაქვს, სპონსორებთან მოლაპარაკებაც წარმატებით დასრულდება და ასეთ შემთხვევაში „რუბინი" ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კლუბი იქნება — სპონსორებისგან „რუბინი" დაახლოებით 100 მილიონ დოლარს მიიღებს.

**— 100 მილიონს?**

— დიახ, ნუ გაიკვირვებთ. თუ ყაზანის „აკ-ბარსის" ჰოკეისტთა გუნდის ბიუჯეტი 80 მილიონია, რატომ არ შეიძლება, ფეხბურთელებს მეტი ჰქონდეთ?!

**— შეიძლება, მაგრამ...**

— „ზენიტს" თუ მოვუგებთ, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ...

**— როგორც ვიცით, დღესდღეობით „რუბინი" ქალაქის ბიუჯეტიდან ფინანსდება.**

— დიახ, „რუბინის" პატრონი ქალაქია, ხოლო სპონსორი „ტა-ნეფტი".

**— თუ გახოკიძის, კობიაშვილისა და არველაძის გადაბირების იმედი გაქვთ, უკვე თქვენთან მოთამაშე გიორგი ქინქლაძეს, ალბათ, კონტრაქტსაც გაუგრძელებთ...**

— დიახ, ქინქლაძესთან კონტრაქტის გაგრძელება გვსურს და ალბათ ასეც იქნება ყოველ შემთხვევაში, „რუბინში" დარჩენის სურვილი გიორგისაც აქვს. ვნახოთ, დავე-ლოდოთ „ზენიტთან" მატჩის შედეგს

**ძობა ინასარიძე**



ლაშა სალუქვაძე (მარცხნივ) შესაძლოა, „რუბინის" გადამწყვეტ მატჩს დააკლდეს

# სალუქვაძემ ფინალი ათენში დაკარგა?

**ყაზანის „რუბინის"** ქართველი მცველი ლაშა სალუქვაძე, რომელიც საბერძნეთ — საქართველოს მატჩისას დაშავდა, გამოჯანმრთელდა და გუნდთან ერთად უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს.

გეხსომებათ, სალუქვაძე 12 ოქტომბრის ათენური მატჩის შესვენებაზე შეცვალეს, მას მასპინძელ ფორვარდთან ბრძოლისას კუნთი დაუზიანდა. თავიდან ლაშას ტრავმა სერიოზულად არავის ჩაუთვლია, თუმც ისე მოხდა, რომ „რუბინის" მცველმა რუსეთის ჩემპიონატის სამი შეხვედრა გამოტოვა და კიდევ საკითხავია, მომავალ ტურში სანკტ-პეტერბურგის „ზენიტთან" თუ ითამაშებს. არადა, „ზენიტთან" მატჩს „რუბინისთვის" ფინალის ფასი აქვს — მოგების შემთხვევაში ყაზანელებს უეფას თასის საგზური ხელში ექნებათ. „რუბინს" ხომ წლეულს სწორედ ეს მიზანი აქვს.

**ძობა ინასარიძე**

# ოცდაორი იორდანიელი

**თქვენ** წინაშეა იორდანიის ნაკრების 22-კაციანი შემადგენლობა, რომლითაც მათი მთავარი მწვრთნელი ჯამალ აჰმად აჰმად აბუ აბედი 16 ნოემბრის ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ საქართველოს ესტუმრება. ეს ხალხი ბევრს ვერაფერს გვეუბნება, რადგან არც ამ ფეხბურთელებისა გვსმენია რამე და არც მათი კლუბებისა.

იმას კი გეტყვით, რომ იორდანიელთა ოთკაცის ასისტენტთა ამდალა მოჰამედ ალიაბუ ზემა გახლავთ, მეკარეთა მწვრთნელი კი ფეკრი ტაფიკ სალეჰია.

*22 **იორდანიელი**: აჰმად გაზი ჰატამლე, აჰმად ჰაიელ იბრაჰიმ იბრაჰიმი, ამერ შაფი მაჰმუდ საბა, ამჯად ალ-შუაიბი, ამარ აჰმად იტლა ალ-შარაიდეჰი, ანას კლიფე აჰმად ალ-ზბუნი, ბაზემ ფატი ომარ ოთმანი, ბაშარ მოჰდ ამინი, ფაიზალ იბრაჰიმ კალილ სულეიმანი, ფერას ტალებ მოჰამად აბუ ობეიდი, ჰასან აბდელ-ფატაჰ ჰასან მაჰმუდი, ჰასანეჰ კასემი, ჰატემ მოჰამად იოსეფ აკელი, ხალედ საედ სალამ ალმალტაჰი, ლოაი სალემ ატალა ელამორეი, მაჰმუდ ომარ მაჰმუდ შელბაიე, მოიად ომარ სულეიმან აბუკეშეკი, მოჰამად ხამიზ რაჯებ ხამიზი, მუსტაფა შეჰადეჰ მაჰმუდ აბუ ალეი, სირაჯ აჰმად ალ ტალი, შადი სამირ მოჰამად ალ-კატიბი.*

# ჯენარო
## ჯინი კი არა, შინი!



„ახლა უფრო თავდაჯერებული ვართ, ვიდრე სეზონის დასაწყისში, როცა საკუთარი ძალების არ გვჯეროდა. ეს იმის ბრალი იყო, რომ წინა სეზონში მეექვსე ადგილზე გავედით და მერე რამდენიმე გამოუცდელი ახალგაზრდა ფეხბურთელი დავიმატეთ" — გვითხრა ვიტჯორჯიელმა პავლე დათუნაიშვილმა, ვინც თავისი შეუპოვრობით და აგრესიული თამაშით ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია საქართველოს ჩემპიონატში.

ასეთი თვისებების გამო თანაგუნდელები პავლეს „ჯენაროს" ეძახიან. ვიტჯორჯიელთა „გატუზო" გვიხსნის: „კარგა ხანია, რაც გუნდში „ჯენაროს" მეძახიან. ეს მეტსახელი ჩვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა რეზო გოცირიძემ შემარქვა, როცა „ვიტ ჯორჯიაში" ახალი მისული ვიყავი".

დათუნაიშვილი „ვიტ ჯორჯიაში" ხუთი წლის წინ მივიდა და მარშან საქართველოს ჩემპიონიც გახდა. 2003-04 წლების სეზონის დასაწყისში ვიტჯორჯიელთა ჩემპიონობას ვერავინ იწინასწარმეტყველებდა, მაგრამ გუნდი პირველი აღმოჩნდა. „ვიტ ჯორჯიამ" ეს სეზონიც არცთუ შთამბეჭდავად დაიწყო, მაგრამ ახლა ცხრილის სათავეშია.

„იმ საჩემპიონო სეზონში რომ იყო, ახლაც მსგავსი სიტუაციაა. მადა ჭამაში მოდის. 2003-04 წლების სეზონთან შედარებით ახლა „ვიტ ჯორჯიაში" უფრო მეტი გამოუცდელი ახალგაზრდა ფეხბურთელია, მაგრამ ჩვენი პლუსი გუნდური თამაში და ერთსულოვნებაა, რაც ასე გვაკლდა წინა სეზონში" — განმარტავს პავლე, ვინც მიმდინარე ჩემპიონატის მეცხრე ტურში „ბორჯომთან" გაძევეს.

„ხისტად მოთამაშე ფეხბურთელი ვარ და სათამაშო სიტუაციებში ყვითელ ბარათს არცთუ იშვიათად ვიღებ, რისგანაც დაზღვეული არავინაა, თუმც „ბორჯომთან" სულ სხვა რამის გამო გამაძევეს — ნერვებს ავყევი. ეს ჩემი ნაკლია, რადგან ფეხბურთელს მინდორზე ნერვების მოთოკვა უნდა შეეძლოს. „ბორჯომთან" გაძევებით გუნდი დავალალატე, მაგრამ ისიცაა, რომ შეცდომებზე სწავლობენ".

ის მატჩი „ვიტ ჯორჯიამ" მაინც მოიგო — 4:0 და პავლეს უმცროსი ძმა გიორგი მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

„ყველა ხედავს, რომ ბოლო დროს გიორგიმ მკვეთრად მოუმატა. თუ მე ჯანის და ჟინის ხარჯზე ვთამაშობ, ის სულ სხვა ტიპის ფეხბურთელია, ჩემზე ტექნიკურია და ჩემზე უკეთესადაც აზროვნებს მოედანზე" — ამბობს პავლე და მართლაც, მისი ძმა „ვიტ ჯორჯიაში" ერთ-ერთი საინტერესო ახალგაზრდაა.

და „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ინტრიგული ჯახი — მიმდინარე ჩემპიონატის მეექვსე ტურში ვიტელებმა „დინამოს" მცხეთაში 1:0 მოუგეს და სწორედ იქიდან დაიწყო ვიტელთა მოლონიერება.

„დინამოს" ჯინი არ გვჭირს, მაგრამ „დინამოსთან" წარმატებით თამაში ყოველთვის სასახელო და პრესტიჟულია ჩვენთვის. მაშინაც კი, როცა კარგ ფორმაში არ ვართ, „დინამოს" ჩვენთან თამაში მაინც უჭირს" — ასე მიაჩნია 22 წლის დათუნაიშვილს, ვინც „ვიტ ჯორჯიას" კიდევ ორი წლით ეკუთვნის, თუმც თვალი უცხოეთში წასვლაზეც უჭირავს.

**დავით თაგართქილაძე**

*თენგიზ ჩიკვილაძე ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა და მას იოლად ვერ შეველევით — გვითხრა გუშინ ბოლნისის „სიონის" დირექტორმა გია აბაზაძემ, რომელიც გაკვირვებულია ზესტაფონელთა საქციელით — „სიონი" იურიდიულად მართალია და რატომ გვედავებიანო.*

*და მართლაც: რატომ ედავება „ზესტაფონი" „სიონს"? ვითარებაში გასარკვევად იმერული კლუბის გენერალურ დირექტორ დავით აბაშიძეს მივმართეთ...*



# აბაშიძე აღიარებს: შევეშალა

— გაუგებრობა მოხდა. ჩვენ ჩიკვილაძის სანაცვლოდ თავის დროზე თბილისის „სპარტაკს" 20 000 დოლარი გადავუხადეთ, მერე 3 000 ქუთაისის „ტორპედოსაც" გადავურიცხეთ, ვინაიდან თენგიზი იმხანად ქუთაისში იყო.

— და „სიონი" აქ რა შუაშია?!

— ჩემი ბრალია, რაც მოხდა, შევცდი. ჩიკვილაძე „სიონში" რომ აპირებდა გადასვლას, ლაპარაკი მისი ქქვსი თვით განათხოვრებაზე იყო. კლუბის პრეზიდენტი ილია კოკაია მაშინ აქ არ გახლდათ და გათავისუფლების ფურცელს მე მოვაწერე ხელი. ჩიკვილაძე უანგაროდ გავუშვი.

— ანუ ფეხბურთელს გათავისუფლების ფურცელი თქვენ მიეცით...

— მივეცი და ეს არ უნდა გამეკეთებინა, არ მქონდა თურმე ამის უფლება. კინაღამ კლუბიდან გამიშვეს, საყვედურიც მივიღე უკანასკნელი გაფრთხილებით. მოკლედ, მკაცრად დავისაჯე.

— „სიონიც" ამას ამბობს, ფეხბურთელს ჯერ გათავისუფლების ფურცელი მისცეს და ახლა კი, გვედავებიან, შეგვეშალაო...

— ვაღიარებ, ყველაფერი ჩემი ბრალია. ჩემმა დაუდევრობამ და გამოუცდელობამ გამოიწვია ეს უთანხმოება.

**— ბოლოს და ბოლოს, ახლა ვის ეკუთვნის ჩიკვილაძე?**

— იგი „ზესტაფონის" საკუთრებაა, „სიონში" კი იანვრამდეა განათხოვრებული.

**— თავად ფეხბურთელმა რომ არ მოისურვოს დაბრუნება?**

— ამ შემთხვევაში ორივე კლუბის პრეზიდენტები გადაწყვეტენ მის ბედს. თუ „სიონს" ჩიკვილაძე კვლავაც ენდომება, მაშინ მის გამოსყიდვაში წესისამებრ ფულის გადახდა მოუწევს.

**— ერთი სიტყვით, გადაუჭრელი პრობლემა არ არის...**

— რა თქმა უნდა, არა. მოისურვებს „სიონი"? ფულს გადაიხდის. თუ არა და, ჩიკვილაძის სამსახურზე „ზესტაფონი" უარს არანაირად არ იტყვის, თენგიზი ჩვენთვის ძალიან საჭირო ფეხბურთელია.

**გიორგი გუგაძიძე**

# პაჭელოს გრაჟდანინობა არ უნდა

*საინტერესო ცნობა მოსკოვიდან: 19 წლის თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე „ლოკომოტივის" ძირითად გუნდში გადაიყვანეს. ამის თაობაზე აქამდეც ბევრი ვარაუდი იყო, თუმცა ყველაფერი ოფიციალურად გუშინ მოხდა — ვლადიმირ ეშტრეკოვმა ჭელიძე დააწინაურა და შესაძლოა უახლოეს ტურში „სატურნთან" მატჩში ათამაშოს კიდეც. სხვათა შორის, „პაჭელოს" ორი დღის წინ ჰქონდა დაბადების დღე და რკინიგზელთა ვებ-გვერდმა ასე მოიხსენია: „ლოკომოტივის" იმედი.*

*შეგახსენებთ, რომ გიორგი 9 ბურთით „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდის ბომბარდირია...*



— დღეს უკვე ორჯერ ვივარჯიშე ძირითად გუნდში. ახალ გარემოს იოლად შევეგუე და ვეცდები, ეს შანსი ბოლომდე გამოვიყენე — გვითხრა გუშინ გიორგიმ.

**— ძირითად გუნდში შენ გადაყვანაზე ადრეც იყო ლაპარაკი...**

— ჰო, მაგრამ ბოლომდე მაინც არ მეგონა, ეს ამ სეზონშივე თუ მოხდებოდა.

**— „სატურნთან" მატჩის განაცხადში იქნები?**

— ჯერ არ ვიცი, მწვრთნელი შემადგენლობას თამაშის წინა დღეს დაასახელებს.

— „ლოკომოტივთან" კონტრაქტი წლის ბოლომდე გაქვს და განახლებაზეც ჩამოგიგდებდნენ სიტყვას...

— საჩქარო არაფერია, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ალბათ აქ დავრჩები.

**— გავიგეთ, რუსეთის მოქალაქეობასაც გთავაზობდნენ...**

— იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემი უარის შემდეგ ყველაფერი დამთავრდა.

**ქახა ზალამბერიძე**

# ღვინიანიძემ აშვეთიას მოშუშებული მოიშუშა

**მათე ღვინიანიძემ** რომ ტრავმა მოიშუშა, ორიოდ დღის წინ გაუწყეთ. გუშინ კი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა ვარჯიში განაახლა.

— დღეს პირველად ვიძუნძულე და არაფერს შევუწუხებივარ. უკეთესობას ვგრძნობ და იმედია, გართულებები არ მექნება — გვითხრა მათემ, მოსკოვში რომ შევეხმიანეთ.

შეგახსენებთ: „ლოკომოტივის" ახალგაზრდა მცველს კოჭის ქვემოთ ნეკა თითთან დამაკავშირებელი ძვალი ჰქონდა გატეხილი. სხვათა შორის, თითქმის მსგავსი ტრავმა რამდენიმე თვის წინ მიხეილ აშვეთიასაც აწუხებდა.

— თამაშზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, თუმცა, ექიმების თქმით, ყველაფერი კარგად მიდის და ნოემბერში დატვირთვაც შემეძლება — იმედიანადაა მათე ღვინიანიძე.

**ქახა ზალამბერიძე**



# გააჩერეს, გააჩერეს!

## ინგლისი

**ლიგის თასი**
**II ეტაპი**

**ბირმინგემი 2:1 ნორვიჩი**
**კარდიფი 0:1 ლესტერი**
**ჩელსი 1:1 ჩარლტონი 4:5 პ.**
**გრიმსბი 0:1 ნიუკასლი**
**ბოლტონი 1:0 ვესტ ჰემი**
**მანჩესტერი 4:1 ბარნეტი**
**ევერტონი 0:1 მიდლსბრო**

**ლიგის თასის** მფლობელი გათამაშებას გამოეთიშა. ამაში მოულოდნელი არაფერი იქნებოდა, გამოთიშულ გუნდს „ჩელსი“ რომ არ ერქვას. გამარჯვებული კი „ჩალტონია“, რომელმაც დაძაბული ფრის (1:1) შემდეგ პენალტებით აჯობა ჟოზე მაურინიუს გუნდს.

„ჩარლტონი“ „ჩელსის“ უახლოესი მადევარია პრემიერლიგაში და ლიგის თასზეც მწარედ წაარტყა კისერში. მოგებულთა მენეჯერმა ალან კერბიშლიმ თქვა: „ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ისინი ადამიანები არიან. მეტი არაფერი“.

მაურინიუს ისე მოელია 36 საშინაო თამაში „სტემფორდ ბრიჯზე“, რომ არ წაეგო და აჰა, თუმცა, პენალტებით და არა სათამაშო დროში, მაგრამ მაინც.

პენალტების ბედი ბოლო დარტყმებისას გაირკვა: ბრაიან ჰიუზმა მეხუთე გაუტანა კუდიჩინის, სტეფან ანდერსონმა კი რობერტ ჰუტს აუღო. „ჩელსის“ შემადგენლობას რეზერვისტული არ ეთქმოდა.

„ჟოზემ საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გამოიყვანა“ — თქვა კარბიშლიმ — ოღონდ, მაინც დაღლილები არიან. პენალტებზე კი ნამდვილად აღარ მინერვიულია“.

საკუთრივ თამაშში კი ანგარიში ჩელის კაპიტანმა ჯონ ტერიმ გახსნა 41-ე წუთზე, ოღონდაც შესვენებამდე დარენ ბენტმა გათანაბრება მოასწრო ჰუტის შეცდომის შემდეგ.



სტეფან ანდერსონი



ჩარლტონელები მრისხანე მეტოქის ძლევას ხარობენ

„ჩელსის“ გავარდნის ფონზე ალბათ უინტერესოდ ჩანს „მანჩესტერის“ მიერ „ბარნეტის“ ძლევა და „ნიუკასლის“ გამარჯვება გრიმსბიში, თუმცა ეს უკანასკნელი ისეთი თამაში გამოდგა, რომ დიდი შეღავათი არ აიყვანდა ხელში. თამაშის ერთადერთი გოლი ალან შირერმა გაიტანა 80-ე წუთზე, მაიკლ ჩოპრას ბრწყინვალე პასის შემდეგ, რომელიც თავის მხრივ კუთხურის მოჰყვა. შირერს ოთხი წელი იყო ლიგის თასის თამაშში ბურთი არ შეეგდო, თუმცა კარიერაში 31-ე გოლი კი გამოუვიდა ამ თასზე.

საერთოდ კი მხცოვან ალანს მთელი საღამო ჰქონდა, გრიმსბელებს კონსტინ ვიტლიმ მას იდაყვი ისე ხიხილიშა ტუჩებში, რომ მოგვიანებით ტუჩზე სამი ნაკერი დაადეს. „კაჭკაჭთა“ თავკაცმა გრემ სუნესმა კი თქვა: „ის ალანს ლამის სიცოცხლისთვის იმეტებდა, რიცა ბურთის იღებ, ასეთი დარტყმა საშინელებაა. ვიტლი გასაძევებელი იყო“.

**ირაკლი გამყრელიძე**



თუ ასე გაგრძელდა ჯოვანი ტრაპატონის „შტუტგარტში“ დიდი დღე აღარ უწერია

# ტრაპატონიმ ისევ ჭამა

## გერმანია

**თასი. II ეტაპი**

**ოსნაბრიუკი 2:2 მაინცი 2:4 პ.**
**ოფენბახი 2:1 კარსლრუე**
**მიუნხენი 3:2 დუისბურგი**
**ჰერტა 3:0 გლადბახი**
**ჰანზა 3:2 შტუტგარტი**
**ჰამბურგი 3:2 ლევერკუზენი**
**არმინია 2:1 კოტბუსი**
**აუე 0:1 ბაიერნი**

**ჯოვანი ტრაპატონიმ** „შტუტგარტის“ ქომაგებს კიდევ ერთხელ გაუჩინა სალაპარაკო, რადგან მისმა გუნდმა როსტოკში „ჰანზასთან“ წააგო. „შტუტგარტი“ მესამე წუთზე ჰიტცლშპერგერის გოლით იგებდა, მაგრამ მერე სტუმრებს ჩაეძინათ და „ჰანზამ“ მოკლე მონაკვეთში სამი საპასუხოს გატანის შეძლო.

პირველი ტაიმი მასპინძელთა სასარგებლოდ, 3:1 დამთავრდა, მეორე ნახევარში კი ტრაპატონიმ სამი შემტევი შეუშვა მოედანზე. გენტნერმა, შტრელერმა და გრონკიაერმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ ლუბოიამ მათი დახმარებით 82-ე წუთზე სხვაობა შეამცირა.

ჯოვანი ტრაპატონიმ კრიტიკის მორიგი ულუფა ყლაპა, მაგრამ ასე უპასუხა: „მწვრთნელი მუდმივად წნეხშია. მისი სამუშაო ამას გულისხმობს“.

ამაოდ ელოდნენ მიუნხენის „ბაიერნის“ ქომაგები, რომ მათი გუნდი „აუესთან“ იოლად გაისეირნებდა. იცოცხლე, მომენტები სტუმრებს ოხრად ჰქონდათ, მაგრამ „აუე“ მხოლოდ მე-80 წუთზე გატყდა. ვილი სანიოლის ჩაწოდებულ ბურთს მიხაელ ბალაკმა საგოლედ უთავაზა.

მას შემდეგ, რაც მიხაელ სკიბემ ლევერკუზენის „ბაიერი“ ჩაიბარა, „ფარმაცევტელებს“ თამაში არ მოუგიათ. „ბაიერი“ ამჯერად „ჰამბურგთან“ დამარცხდა, არადა ბერბატოვის გოლით პირველი ტაიმი სტუმრებმა მოიგეს.

მეორე ნახევრის დაწყებისთანავე „ჰამბურგი“ მეტოქის საჯარიმოს მიაწყდა. შვიდწუთიან მონაკვეთში ვან ბუიტენმა და ბარბარესმა თითოჯერ გაუტანეს ლევერკუზენელებს. ბერბატოვმა მაინც მოახერხა 81-ეზე გათანაბრება. შეხვედრა დამატებით დროში რომ უნდა გადასულიყო, სწორედ მაშინ შეაგდო მასპინძელმა ვიკიმ, რომელიც შეცვლაზე ათიოდ წუთის შესული იყო.

„მიუნხენ 1860“-მა ანუ „ლომებმა“ „ზებრებად“ მონათლული „დუისბურგი“ დაამარცხეს. პირველი ტაიმის მიწურულს შაომ და მათიას ლემანმა იხეირეს ბუნდესლიგელ სტუმრებთან, მაგრამ შესვენების შემდეგ „დუისბურგმა“ იყოჩაღა. ანფანგმა და ლოტნერმა ორბურთიანი სხვაობა გააბათილეს. „ლომთა“ მწვრთნელმა ვუჩიჩევიჩი შეუშვა შეტევის გასაძლიერებლად და მანაც 85-ე წუთზე მასპინძელთა გამარჯვებისა გაიტანა.

მიონხენგლადბახის „ბორუსია“ ბუნდესლიგაში კი მიიწევს მაღლამაღლა, მაგრამ „ჰერტამ“ სათასო მატჩში მიწაზე დაუშვა. ბერლინელებმა „გლადბახს“ სამი მიართვეს და ისე გაისტუმრეს.

„მაინცი“ ჯერ იგებდა, მერე აგებდა „ოსნაბრიუკთან“. პეტრ რუმანმა მეოთხომეტე წუთზე გაათანაბრა და საქმე პენალტებამდე მიიყვანა, სადაც მაინცელმა ვახემ ერთი ბურთი მოიგერია, ერთიც ოსნაბრიკელმა შიოფერმა კარს ააცილა და ბუნდესლიგელები მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

ბილეფელდის „არმინია“ იმტაზე მოსულა. ჩემპიონატში ერთიმეორის მიყოლებით „მაინცა“ „ჰერტა“ და „ნიურნბერგი“, ახლა კი თასზე გამოინაცვლა და „კოტბუსსაც“ აჯობა. ქვედალიგელები გომესის გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ მათი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. კუნცელმა 23-ეზე გაათანაბრა, ხოლო შესვენების შემდეგ მანვე მეორე გაიტანა და „კოტბუსი“ გზიდან ჩამოიცილა.

**ვაჟა ხუციშვილი**



მიხაელ ბალაკმა „ბაიერნს“ ბოლოსდა მოაგებინა

# იდეალური პეტროვი

# მაკლიშის ჩიხი

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XII ტური**

**აბერდინი 2:0 დანდი იუნ.**
1:0 სმიტი (36), 2:0 კროუფორდი (43)

**ლივინგსტონი 2:2 რეინჯერსი**
0:1 ბ. ფერგიუსონი (15), 0:2 ბურკი (54), 1:2, 2:2 სნოდგრასი (56, 64)

**ივერნესი 0:3 ფოლკირკი**
0:1 ტომსონი (22), 0:2 დაფი (70), 0:3 მოუტინიო (90)

**ჰართსი 1:0 კილმარნოკი**
1:0 იანკაუსკასი (35)

**დანფერმლაინი 1:2 ჰიბერნიანი**
0:1, 0:2 ოკონორი (48, 83), 1:2 მეისონი (87)

**სელტიკი 5:0 მოზერველი**
1:0 პეტროვი (14), 2:0 მელონი (17), 3:0 პეტროვი (23), 4:0 ნაკამურა (67), 5:0 პეტროვი (79)

**„ჰართსმა“** მეათე მატჩი მოიგო და კვლავ სამი ქულით უსწრებს „სელტიკს“, რომელმაც შინ „მოზერველი“ დაჩაგრა.

„ჰართსის“ ლიტველმა ფორვარდმა ედგარას იანკაუსკასმა „კილმარნოკს“ პირველ ტაიმში გაუტანა.

„ეს შესანიშნავი გამარჯვებაა — თქვა დროებითმა მწვრთნელმა ჯონ მაკგლინმა — ხვალ გუნდს შევკრებ და თამაშს გავაანალიზებთ, თან მომდევნო ტურისთვის მომზადებას დავიწყებთ“.

გლაზგოს „სელტიკმა“ სტილიან პეტროვის ჰეთ თრიქით გაიხარა. ბულგარელმა შესვენებამდე ორი გოლი შეაგდო და საამისოდ ცხრა წუთი დასჭირდა. მის გოლებს შორის ერთი მელონიმ „ჩაურთო“.

მეორე ტაიმში ნაკამურამ იხეირა, მერე კი ისევ პეტროვმა იყოჩაღა.

„სელტიკის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი ნამატჩევს გახარებული იყო: „სტილიან პეტროვმა სამაგალითოდ ითამაშა. ასე უნდა თამაშობდეს იდეალური ნახევარმცველი. ჩვენ „ჰართსის“ დევნას გავაგრძელებთ“.

ისიც ვთქვათ, რომ ნაკამურამ დაახლოებით 35 მეტრიდან შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ბურთი მეკარისგან მარჯვენა ცხრიანში შეასრიალა.

„გამარჯვების ფორმულა მარტივია — თქვა სტრაჩანმა — კარგი ფეხბურთელების შეკრებაა საჭირო. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელობაც ადვილია, გუნდი კი ბრწყინვალე ფორმაშია“.



სელტიკი — მოზერუელი 5:0.
სტილიან პეტროვმა ჰეთ თრიქი მიითვალა

ამასობაში გლაზგოს „რეინჯერსი“ საჩემპიონო ბრძოლას ჩამორჩა, ალექს მაკლიშს კი კვლავ თავის მართლება დასჭირდა „ლივინგსტონთან“ ორი ქულით დაკარგვის გამო. „ჩაფრები“ ფერგიუსონისა და ბურკის გოლებით 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ რვა წუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი გაუშვეს და „ლივინგსტონს“ ქულა დაუტოვეს.

„მე ჩიხში ვარ — თქვა გაოგნებულმა ალექს მაკლიშმა — ეს ფაქტობრივად შოკია, რადგან დაუჯერებელია, რომ 2:0-ზე ორი გოლი გავუშვით. ისდა დაგვრჩენია, გაათმაგებული მონდომებით ვივარჯიშოთ, რათა მსგავსი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ასე განიავებული ქულების შემდეგ გუნდზე ზეწოლა იზრდება, მაგრამ ყველამ უნდა ვაგოთ პასუხი იმის გამო, რაც დაგვემართა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰართსი | 12 | 10 | 2 | 0 | 27:7 | 32 |
| სელტიკი | 12 | 9 | 2 | 1 | 31:10 | 29 |
| ჰიბერნიანი | 12 | 8 | 1 | 3 | 22:13 | 25 |
| რეინჯერსი | 12 | 6 | 3 | 3 | 22:12 | 21 |
| აბერდინი | 12 | 4 | 4 | 4 | 15:13 | 16 |
| კილმარნოკი | 12 | 4 | 3 | 5 | 19:20 | 15 |
| მოზერუელი | 12 | 4 | 2 | 6 | 22:28 | 14 |
| ინვერნესი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | 13 |
| დანდი იუნ. | 12 | 3 | 4 | 5 | 14:18 | 13 |
| ფოლკირკი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:22 | 12 |
| დანფერმლაინი | 12 | 1 | 2 | 9 | 8:24 | 5 |
| ლივინგსტონი | 12 | 0 | 4 | 8 | 5:27 | 4 |



ემპოლი — მილანი 1:3. ალბერტო ჯილარდინომ ანგარიში კახა კალაძის პასით გაათანაბრა

# იყო რვა, გახდა ცხრა

## იტალია

### სერია ა. IX ტური

**ინტერი 2:3 რომა**

0:1 მონტელა (12), 0:2, 0:3 ტოტი (30, 47პ), 1:3, 2:3 ადრიანო (67, 77)
ინტერი: ხეზარი, კორდობა, ფავალი (სოლარი 90), მატერაცი, სამუელი, ზე მარია (ადრიანო 46), კამბიასო, ფიგუ, ვერონი, კრუზი, რეკობა (მარტინსი 75)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
რომა: დონი, კაფუ, კუფრე, კუფური, მანჩინი (დაკური 77), პანუჩი, დე როსი, ტადეი (მექსეში 83), მონტელა (ნონდა 59), პეროტა, ტოტი
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: მატერაცი, სამუელი, კაფუ, მანჩინი, დონი
გაძევება: ვერონი (90), ტოტი (90)
მსაჯი: როსეტი
60 000 მაყურებელი

**ემპოლი 1:3 მილანი**

1:0 ვანუჩი (34), 1:1, 1:2 ჯილარდინო (45, 50), 1:3 ვიერი
ემპოლი: ბერტი, კოდა, ლუჩინი, მორო (რიგანო 51), პრატალი, ალმირონი (ლოდი 71), ბონეტო, ბუსკე, ფიჩინი (პოცი 85), ტავანო, ვანუჩი
მწვრთნელი: მარიო სომა
მილანი: დიდა, კაფუ, კოსტაკურტა, კალაძე, შევჩენკო, იანკულოვსკი (გატუზო 60), პირლო, რუი კოშტა, ზეედორფი (ფოგელი 85), ჯილარდინო (კაკა 67), ვიერი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: პირლო
მსაჯი: ტრეფოლონი
13 500 მაყურებელი

**ასკოლი 1:1 უდინეზე**

1:0 ფინი (18), 1:1 ვიდიგალი (88)
ასკოლი: კოპოლა, კომოტო, კრისტიანო, დელ გროსო, კუდინი (ადანი 22), ფინი (ტოსო 84), გუანა, პაზი, პაროლა, ბიელანოვიჩი, ძანინი (ფოჯა 66)
მწვრთნელი: მარკო ჯამპაოლო
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, კანდელა, ფელიპე, სენსინი, მუნტარი, პინცი, ვიდიგალი, ძენონი (დი ნატალე 68), დი მიკელე, იაკინტა (როსინი 83)
მწვრთნელი: სერჯე კოზმი
მსაჯი: დე მარკო
სტადიონი დისკვალიფიცირებული იყო

**კალიარი 1:1 ლივორნო**

1:0 სუაზო (51პ), 1:1 მელარა (76)
კალიარი: კარინი, ბეგა, კანინი, გობი, ლოპესი (პისანო 17), აგოსტინი, ბუდელი, კონტი, კამონე (კოსუ 52), ესპოზიტო, სუაზო (ლანძელა 81)
მწვრთნელი: დანიელე არიგონი
ლივორნო: ამელია, კოკო, გრანდონი, მელარა, პფერტცელი, ვარგასი, ჩენტი, დე აშენტისი (პასონი 58), რუოტოლო, ბაკაიოკო (ლაზეტიჩი 58), ლოკატელი
მწვრთნელი: რობერტო დონადონი
გაფრთხილება: სუაზო, კონტი, გრანდონი, რუოტოლო, ლაზეტიჩი
მსაჯი: პალანცა
10 000 მაყურებელი

**რეჯინა 1:2 ტრევიზო**

0:1 ბეგეტო (18), 0:2 პარავიჩინი (78), 1:2 მისიროლი (86)
რეჯინა: პავარინი, ფრანჩესკინი, ლანძარო, ლუკარელი, მოდესტო, ბიონდინი, კარობიო, კოცა, რიგონი, ვიჯანი, ამორუზო
მწვრთნელი: ვალტერ მაცარი
ტრევიზო: ძანკოპე, კოტაფავა, დოსენა, ვალდესი, ვიალი, ბეგეტო, ფილიპინი, გალო, პარავიჩინი, პასარო
მწვრთნელი: ეციო როსი
მსაჯი: პანტანა
10 000 მაყურებელი



ინტერი — რომა 2:3. ფრანჩესკო ტოტიმ მორიგი შედევრი გამოაცხო

**სიენა 0:2 ფიორენტინა**

0:1, 0:2 ტონი (2, 67)
სიენა: მირანტე, ალბერტო (ბაჩინი 76), ფალსინი, ლეგროტალიე, ნეგრო, ტუდორი, დაცერსა, პარო (ლოკატელი 50), ვერგასოლა, ბოგდანი, ნანი (კოზმა 50)
მწვრთნელი: ლუიჯი სიმონე
ფიორენტინა: ფრეი, დაინელი, დი ლორეტო, პასკუალი, უიფალუში, ბროკი, დონადელი, ფიორე (გიგუ 83), იორგენსენი, პაციენცა, ტონი
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: პარო, ნანი, ლეგროტალიე, დაცერსა, პასკუალი, დაინელი
მსაჯი: დე სანტისი
7 500 მაყურებელი

**პარმა 1:1 მესინა**

1:0 სიმპლიციო (36), 1:1 მუხლიმოვიჩი (77)
პარმა: ბუჩი, კარდონე, კოუტუ (როსი 66), პასკუალე, დესენა, გრელა, სიმპლიციო, კორადი, დელვეკიო (ბრეშიანო 60), მარკიონი (ბაგი 79), მორფეო
მწვრთნელი: მარიო ბერეტა
მესინა: სტორარი, არონიკა, რეზაი, ძანჩი, კომოლა, კრისტანტე, ჯამბა (დაგოსტინო 60), მამედე (იანაგისავა 70; რაფაელი 76), დი ნაპოლი, მუხლიმოვიჩი, სკული
მწვრთნელი: ბორტოლო მუტი
გაფრთხილება: გრელა, მამედე, სკული, დი ნაპოლი, მუხლიმოვიჩი
მსაჯი: მესინა
12 500 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 სამპდორია**

1:0 ტრეზეგე (41), 2:0 მუტუ (67)
იუვენტუსი: კიმენტი, კანავარო, კიელინი, რ. კოვაჩი, ემერსონი, ჯანიკედა, ნედვედი, ძამბროტა, დელ პიერო (ზალაიეტა 67), მუტუ (ბალძარეტი 85), ტრეზეგე (კამორანეზი 82)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
სამპდორია: ანტონიოლი, კასტელინი, დიანა, პავანი, ძენონი (გასბარონი 65), პალომბო, პისანო, ტონეტო (დალა ბონა 75), ბოლიანი, ბონაცოლი, ბორიელო (კეტუზოვი 54)
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ძამბროტა, დიანა
მსაჯი: დატილო
30 000 მაყურებელი

**ლაციო 2:2 კიევო**

1:0 როკი (31), 1:1 დანა (47), 1:2 პელისიერი (66), 2:2 ოდო (90პ)
ლაციო: ბალოტა, სეზარი (ტარე 78), კრიბარი, ოდო, ხვილია, დაბო, ლივერანი, მანფრედინი, ძაური, პანდევი (ს. ინძაგი 64), როკი
მწვრთნელი: დელიო როსი
კიევო: ფონტანა, დანა, ლანა, მალაგო, მანდელი, ფრანჩესკინი, სამარკო, სემიოლი, ძანკეტა (ჯუნტი 65), ობინია (ამაური 46), პელისიერი (ნკურტი 83)
მწვრთნელი: ჯუზეპე პილონი
გაფრთხილება: დაბო, დი კანიო, სამარკო, მალაგო
მსაჯი: აიროლდი
25 000 მაყურებელი

**პალერმო 3:0 ლეჩე**

1:0 ბონანი (35), 2:0 მუტარელი (62), 3:0 ფერი (90)
პალერმო: ანდუხარი, ბარძალი, სანტანა (ფერი 79), ძაკარდო, ბონანი (გონსალესი 67), კორინი, გროსო, მუტარელი, ტერლიცი, კარაჩოლო, მაკონგა (ბარონე 58)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ლეჩე: სიჩინიანო, აბრუცეზე, პეკარარი, სტოვინი, კასეტი, დელვეკიო (ზილეე 82), კონსი (ანჯელო 73), ლედესმა, პინარდი, ვუჩინიჩი (კოვაჩინი 60), ვუჩინიჩი
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: კორინი, ძაკარდო, ტერლიცი, კასეტი, ვუჩინიჩი
გაძევება: კორინი (86)
30 000 მაყურებელი

რეკორდი შედგა! ტურინის „იუვენტუსმა“ პირველ ცხრა ტურში ყველა მატჩი მოიგო, რაც აქამდე სერია A-ს არ ახსოვს. მოგახსენებთ, წინა რეკორდიც „ბებერ ქალბატონს“ ეკუთვნოდა, რომელმაც 1930 და 1985 წლებში რვა სასტარტო შეხვედრაში გამარჯვება შეძლო.

„დელე ალპის“ მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე საბოლოოდ გადაწყდა, რომ მუხლნატკენი კრისტიან აბიატი ვერ ითამაშებდა და კარში ანტონიო კიმენტი დააყენეს, რომელმაც საკმაოდ საიმედოდ იბურთავა. ფაბიო კაპელომ დანაპირები შეასრულა და ზლატან იბრაჰიმოვიჩი „მილანთან“ სათადარიგოდ დასვა.

ცოტათი ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე „იუვეს“ სეზონის საუკეთესო მატჩი ნამდვილად არ ჩაუტარებია, მაგრამ შედეგი სახეზეა. ანგარიშში სხვაობა უფრო დიდიც იქნებოდა, ბოლო წუთებზე მსაჯებს დავიდ ტრეზეგეს გოლი ტყუილად რომ არ გაეუქმებინათ.

არადა, სტუმრებმა მშვენივრად ითამაშეს. გენუელებს ანგარიშის გახსნაც რამდენჯერმე შეეძლოთ და გათანაბრებაც, თუმც ამ მატჩში გატანა მხოლოდ „იუვენტუსს“ ეწერა.

41-ე წუთზე მასპინძლებმა კუთხური მიაწოდეს. გენუელი მცველები ბავშვებივით დაიბნენ და დავიდ ტრეზეგეს ახლოდან გატანა აღარ გასჭირვებია. 57-ე წუთზე კი დელ პიერო-ემერსონი-ტრეზეგეს მშვენიერი კომბინაცია ადრიან მუტუმ დააგვირგვინა. საერთოდ, რუმინელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე.

ფაბიო კაპელო: „სამპდორიამ“ ჩინებულად ითამაშა და მიხარია, რომ მოვიგეთ. ასევე მახარებს ადრიან მუტუს თამაში. მან ბევრი იშრომა და ფორმა ძალიან მალე აღიდგინა“.

„იუვეს“ მთავარი მდევარი კვლავ „მილანია“. კარლო ანჩელოტის შეგირდები „ემპოლისთან“ აგებდნენ, მაგრამ მოიგეს. „სტადიო კასტელანის“ ბინადრებმა დიდას კარში პირველივე დარტყმით გაუტანეს იგლი ვანუჩიმ დაახლოებით 20 მეტრიდან გაისროლა და ბრაზილიელი მეკარე უმანსოდ დატოვა. ცოტა ხანში იმავე ვანუჩის ჩაწოდებულს ალმირონმა ფეხი დაუხვედრა და თითქოს გოლი გარდაუვალი იყო, მაგრამ დიდამ მორიგი პატარა საოცრება მოახდინა.

| № | სულ თ | სულ მ | სულ ფ | სულ წ | სულ ბ | სულ ს | სულ ქ | შინ თ | შინ მ | შინ ფ | შინ წ | შინ ბ | შინ ს | შინ ქ | სტუმრად თ | სტუმრად მ | სტუმრად ფ | სტუმრად წ | სტუმრად ბ | სტუმრად ს | სტუმრად ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 იუვენტუსი | 9 | 9 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 27 | 5 | 5 | 0 | 0 | 8:1 | 7 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 9 | 12 |
| 2 მილანი | 9 | 7 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 22 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 10 |
| 3 ფიორენტინა | 9 | 6 | 1 | 2 | 20:11 | 9 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 13:6 | 7 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 7 |
| 4 ინტერი | 9 | 6 | 0 | 3 | 18:8 | 10 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 11 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:5 | −1 | 6 |
| 5 პალერმო | 9 | 4 | 3 | 2 | 17:14 | 3 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 11:6 | 5 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:8 | −2 | 4 |
| 6 კიევო | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 3 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 1 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 9:7 | 2 | 8 |
| 7 ლაციო | 9 | 4 | 3 | 2 | 13:12 | 1 | 15 | 5 | 4 | 1 | 0 | 11:5 | 6 | 13 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:7 | −5 | 2 |
| 8 ლივორნო | 9 | 4 | 3 | 2 | 9:10 | −1 | 15 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:9 | −5 | 5 |
| 9 სამპდორია | 9 | 4 | 1 | 4 | 17:15 | 2 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 6 |
| 10 უდინეზე | 9 | 4 | 1 | 4 | 11:11 | 0 | 13 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 2 | 6 | 5 | 2 | 1 | 2 | 7:9 | −2 | 7 |
| 11 ემპოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:13 | −3 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | −2 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | −1 | 4 |
| 12 რომა | 9 | 3 | 3 | 3 | 13:9 | 4 | 12 | 4 | 1 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 4 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:3 | 3 | 8 |
| 13 ასკოლი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:10 | 0 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:5 | 3 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | −3 | 2 |
| 14 სიენა | 9 | 3 | 2 | 4 | 17:19 | −2 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 9:10 | −1 | 6 | 4 | 1 | 2 | 1 | 8:9 | −1 | 5 |
| 15 რეჯინა | 9 | 2 | 0 | 7 | 9:15 | −6 | 6 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:8 | −2 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:7 | −4 | 0 |
| 16 პარმა | 9 | 1 | 3 | 5 | 8:17 | −9 | 6 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:12 | −9 | 0 |
| 17 მესინა | 9 | 0 | 5 | 4 | 8:15 | −7 | 5 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:7 | −3 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | −4 | 2 |
| 18 ტრევიზო | 9 | 1 | 2 | 6 | 5:15 | −10 | 5 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | −6 | 0 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:8 | −4 | 5 |
| 19 კალიარი | 9 | 0 | 4 | 5 | 6:15 | −9 | 4 | 5 | 0 | 4 | 1 | 3:5 | −2 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 3:10 | −7 | 0 |
| 20 ლეჩე | 9 | 1 | 1 | 7 | 5:17 | −12 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | −2 | 4 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:11 | −10 | 0 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ტონი (ფიორენტინა) | 11 |
| ბონაცოლი (სამპდორია) | 7 |
| კეზა (სიენა) | 7 |

**X ტური**

29-30 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| კიევო | : | ემპოლი |
| ფიორენტინა | : | კალიარი |
| ლეჩე | : | მესინა |
| ლივორნო | : | პარმა |
| მილანი | : | იუვენტუსი |
| რეჯინა | : | ლაციო |
| რომა | : | ასკოლი |
| სამპდორია | : | ინტერი |
| ტრევიზო | : | სიენა |
| უდინეზე | : | პალერმო |

„მილანის" ამოცანა ერთიორად გაადვილა პირველი ტაიმის მიწურულს გატანილმა გოლმა — კახა კალაძის კროსს ალბერტო ჯილარდინო დაუხვდა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, რომ იმავე ჯილარდინომ უკვე რუი კოშტას გადაცემას შეაგება თავი. ეს ალბათ „ჯილას" საუკეთესო მატჩი გახლდათ „როსონერის" რიგებში.

ქომაგები გაახარა კრისტიან ვიერიმაც, რომელმაც „მილანის" რიგებში სანუკვარი პირველი გოლი შეაგდო. „ბობომ" კლარენს ზეედორფის პასი შეირგო.

„ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ. განსაკუთრებით ჯილარდინომ და ვიერიმ გამახარეს. „იუვენტუსთან" თამაშს ჩინებულ ხასიათზე და კარგ ფორმაში ვხვდებით" — განაცხადა კარლო ანჩელოტიმ.

და რა მოხდა ტურის ცენტრალურ მატჩში? „რომამ" კინაღამ საამბურთიანი უპირატესობა გაფლანგა. თუმც დედაქალაქელებმა, 1994 წლის მერე პირველად მაინც შეძლეს „სან სიროდან" 3 ქულის წამოღება. „ინტერი" კი ცოტა გვიან გამოფხიზლდა და ისიც ადრიანოს წყალობით. ბრაზილიელს მცირე ტრავმა აწუხებდა და ამიტომ ძირითად შემადგენლობაში არ დააყენეს, რაც რობერტო მანჩინის სანანებელი გაუხდა.

პირველ ტაიმში რომაელებმა აშკარად უკეთ ითამაშეს. ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა — ვინჩენცო მონტელამ როდრიგო ტადეის პასით ამ სეზონში თავისი პირველი გოლი შეაგდო. რამდენიმე სახიფათო მომენტის გაცვლის შემდეგ კი ფრანჩესკო ტოტიმ გაიბრწყინა. „გლადიატორთა" კაპიტანმა დაახლოებით 60 მეტრი ირბინა და ზუსტადაც დაასრულა თავისი ჩინებული გარღვევა.

მეორე ნახევარი ერთი წუთის დაწყებული იყო, როცა მარკო მატერაციმ ვინჩენცო მონტელაზე პენალტი აიკიდა და ტოტიმაც დუბლი გაიფორმა.

ბუნებრივია, „რომა" შედარებით მოდუნდა და თამაშიც ცოტა ხნით ჩაკვდა. სანამ ადრიანო ლამაზი საჯარიმო დარტყმით სხვაობას შეამცირებდა. 77-ე წვითზე კი დონი კრისტიან კივუს დაეჯახა, ბურთი ხელიდან გაუვარდა და ადრიანომაც უპრობლემოდ შეირგო საჩუქარი.

ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ ბოლო წუთები „ინტერის" იერიშებში ჩაივლიდა. „ნერო აძურის" ერთიორი მომენტიც შექმნა, მაგრამ ამაოდ. 93-ე წუთზე კი ფეხბურთელებმა ემოციები ვეღარ მოთაკეს და ფრანჩესკო ტოტი ხუან სებასტიან ვერონთან ერთად რობერტო როსეტიმ მინდვრიდან მიაბრძანა.

„რამდენიმე სულელური შეცდომა დავუშვით — თქვა რობერტო მანჩინიმ — ცხადია, „რომამ" ეს გამოიყენა და დაგვსაჯა. პენალტი აშკარად მოგონილი გახლდათ, ხოლო ტოტის გოლი ბრწყინვალე. სასიხარულო ის არის, რომ ადრიანო ისევ ფორმაშია. სკუდეტოს მოგება ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ მე დანებება არ მიყვარს".

ტოსკანურ დერბიში კი „ფიორენტინამ" იმარჯვა და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. შეუჩერებელმა ლუკა ტონიმ პირველი გოლი 90-ე წამზე გაიტანა, როდესაც კუთხერიდან მოწოდებულ ბურთს დაუხვდა. 68-ე წუთზე კი მარტინ იორგენსენს მშვენიერი გარღვევა და პასი დაუფასა. მშენივრად მოთამაშე „იებმა" „სიენას" აშკარად აჯობეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**ძოძი ძანდელაძი**

## სერია B

### სერია B. XII ტური

**მანტოვა 1:0 ტორინო**

1:0 ტარანა (24)

**პესკარა 1:0 რიმინი**

1:0 კამარატა (57პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანტოვა | 12 | 9 | 3 | 0 | 20:7 | 30 |
| მოდენა | 12 | 6 | 5 | 1 | 15:6 | 23 |
| ტორინო | 12 | 6 | 4 | 2 | 11:5 | 22 |
| ჩეზენა | 12 | 6 | 3 | 3 | 18:14 | 21 |
| ატალანტა | 12 | 7 | 0 | 5 | 15:14 | 21 |
| ბრეშა | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| არეცო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:9 | 20 |
| ტრიესტინა | 12 | 5 | 4 | 3 | 11:7 | 19 |
| კატანია | 12 | 5 | 4 | 3 | 17:14 | 19 |
| ვერონა | 12 | 4 | 6 | 2 | 11:7 | 18 |
| კროტონე | 12 | 5 | 3 | 4 | 13:10 | 18 |
| პიაჩენცა | 12 | 4 | 4 | 4 | 18:16 | 16 |
| ბოლონია | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| რიმინი | 12 | 3 | 5 | 4 | 15:14 | 14 |
| ბარი | 12 | 3 | 5 | 4 | 13:14 | 14 |
| პესკარა | 12 | 4 | 2 | 6 | 13:18 | 14 |
| ალბინოლეფე | 12 | 2 | 6 | 4 | 9:10 | 12 |
| ვიჩენცა | 12 | 3 | 2 | 7 | 12:20 | 11 |
| აველინო | 12 | 2 | 3 | 7 | 11:22 | 9 |
| კატანძარო | 12 | 2 | 1 | 9 | 7:17 | 7 |
| კრემონეზე | 12 | 1 | 3 | 8 | 8:19 | 6 |
| ტერნანა | 12 | 1 | 3 | 8 | 6:22 | 6 |



იუვენტუსი — სამპდორია 2:0. დავიდ ტრეზეგე (მარცხნივ) პირველმა ფაბიო კანავარომ მიულოცა



პსჟ — ტრუა 4:1. მასპინძელთა მთავარმეგოლემ პედრო პაულეტამ მორიგი დუბლი გაიფორმა

# კამისოკო
## შიდამარსელური ღალატი

## საფრანგეთი

### ლიგის თასი
### I ეტაპი

**ბორდო 1:0 მარსელი**
**ლე მანი 2:1 კლერმონი**
**ლავალი 0:1 გინგამი**
**ლე ავრი 0:0 ტულუზი 0:1 დ.დ**
**მონაკო 1:0 დიჟონი**
**ნიცა 0:0 შატორუ 2:0 დ.დ**
**აიაჩო 2:2 გრენობლი 4:2 დ.დ**
**კაენი 1:0 სტრასბური**
**ლანსი 2:3 ოსერი**
**მონპელიე 1:0 რენი**
**ნანსი 1:0 სოშო**
**პსჟ 4:1 ტრუა**
**სედანი 1:0 მეცი**
**სენტ ეტიენი 0:2 ლილი**

**ფაბიენ ბარტეზმა** საუცხოოდ ითამაშა ბორდოში და მასპინძლები გაამწარა, მაგრამ ბორდოელებმა რომ ვერაფერი დააკლეს „მარსელის" მეკარეს, მარსელელმა აბდულაიე მეიტემ უღალატა 85-ე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა.

„პირველ ტაიმში მეტოქეს ვაჯობეთ, მაგრამ სამი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ — თქვა მასპინძელთა მწვრთნელმა რიკარდომ — შესვენების შემდეგ „მარსელმა" მოუმატა და ბოლოს გაგვიჭირდა მათი შეტევების მოგერიება, თუმც ბოლოს იღბალმა მაინც გაგვიღიმა.

„დასანანი მარცხია — დაიჩივლა სტუმართა თავკაცმა ჟან ფერნანდესმა — მეორე ტაიმში კარგად ავთამაშდით. მატჩი დამატებითი დროისკენ მიდიოდა, იქ კი არავინ იცის, რა მოხდებოდა". „მარსელისთვის" ეს მიჯრით მეორე მარცხია ოთხ დღეში. მათ გასულ უქმეებზე „სენტ-ეტიენთან" წააგეს.

